



№17 (9.976)
22-29 მაისი 2021 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

დავით აღმაშენებლის ხეობის მუზეუმი

„უმცნაური ბედის ერი ხარ“

„ერი ჩვენივე სულია, სულიერი მოჯახი, სულიერი პრინციპი, იგი ისტორიული ინდივიდუალობაა“ - თქვა რენანა. ამ სიტყვების სიმატლის დამტკიცებას ცდილობდა ყველა ქართველი პატრიოტი ჩვენი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

წარსული საგნა ომისგან მიყენებული ჭრილობებით, სამშობლოს შეწირული ქართველი მეომრების სისხლით გაპოხილია ქართული მიწა... ბევრ გამარჯვებას ითვლის ქართლის ქორნიკონი, მაგრამ უფრო მეტია რიცხობრივად დამარცხებით გამოწვეული სიმწარე და ტკივილი. ბევრი მეფისა თუ მხედართავრის გამორული მაგალითების პარალელურად საქართველოს ისტორია იტევს ქვეყნის ღალატისა და დამარცხების უამრავ სირცხვილსაც...

რამდენიმე დღეში საქართველო ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს აღნიშნავს. ქართული ჯარი ალუმინისათვის ემზადება. ქართულ საზღვარს კი კვლავ ურცხვად არღვევენ რუსი ოკუპანტები და საკუთარი ეზოებიდან იტაცებენ ქართველებს, მერე ასეთივე ცინიზმით ე. წ. ოსურ საპატიმროებში განამწყვდენ „საზღვრის დარღვევის მუხლით“ და გამოსასყიდს ითხოვენ ისტორიული სამაჩაბლოს ციხეებიდან...

ჯამ 26 მაისია...

საქართველო კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ პატარა ერებსაც აქვთ არსებობისა და დამოუკიდებლობის უფლება.

„რუსეთის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ზუსტად ის ფასი აქვს, რაც იმ ფურცელს, რომელზედაც ეს ხელშეკრულება იწერება“ - უინსტონ ჩერჩილი.

ერეკლე მეორის მცდელობა, საქართველოთი დაეინტერესებინა დასავლეთი, უშედეგო აღმოჩნდა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა მზერა რუსეთისკენ მიემართა. 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ტრაქტატს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ეწოდა. ტრაქტატის თანახმად, ქართველი მეფეები ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ძალაუფლებას, მაგრამ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში.

რუსეთმა ოფიციალურად დადებული პირობა არ შეასრულა. ეკატერინე დიდი 1796 წელს დესპოტმა იმპერატორმა პავლე პირველმა შეცვალა; 2 წლის შემდეგ, ერეკლე მეორე მისმა უმოქმედო მემკვიდრემ, საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი მეთორმეტემ (1798-1800), რომლის გარდაცვალების შემდეგაც, 1800 წლის 28 დეკემბერს, მის შვილებსა და ძმებს შორის ტახტისთვის ბრძოლა გაიმართა.

1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტით გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კონორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი.

1801 წლის 15 სექტემბერს, ალექსანდრე პირველმა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევა ახალი საიმპერატორო მანიფესტით დაადასტურა. საქართველოს უძველესი სამეფო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სინდინდები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ ალღევდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიძეილი, რომელთაც ხმა აიძალღეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.


ქართველები უდრტინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თხავი ჩვენადვე გვიჟუღანსო“, - ლელთ ლუნას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქმის მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ახალი რუსეთის სათავეში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ის კარდინალური საკითხები, რაც განსაკუთრებით ალღევდა მოსახლეობის ფართო ფენებს: ზავის საკითხი (ქვეყანა ისევ აგრძელებდა მსოფლიო ომში მონაწილეობას), მინის საკითხი და სხვ. ყოველივე ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა (კომუნისტებმა) ლენინის მეთაურობით და 1917 წლის ოქტომბერში დროებითი მთავრობა დაამხეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა



პარტიებმა და ორგანიზაციებმა არ ცნეს ამ გადატრიალების კანონიერება. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს საკუთარი მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ფაქტობრივად, დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესი.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ოთხთა კავშირთან გააფორმეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომლის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებდა ორი ქართული (ბათუმი და არდალანი) და ერთი სომხური (ყარსი) ოლქის თურქეთისთვის გადაცემას.

საქართველო ესპანეთის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის პარტნიორი ქვეყანაა



ესპანეთში, მადრიდის „FITUR“-ის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესპანეთის მეფე ფელიპე VI-სა და დედოფალ ლეტიციასთან ერთად გახსნა. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მათი ინფორმაციით, გამოფენაზე ესპანეთის სამეფო ოჯახის დახვედრის ცერემონიალი ქართული ფოლკლორით გაფორმდა.

„გამოფენაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საპრეზენტაციო სტენდით არის წარმოდგენილი. საქართველოს სპეციალური სივრცე საშუალებას აძლევს საერთაშორისო ტურისტულ მარკეტინგს, კომპანიებს, მედიის წარმომადგენლებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ. გამოფენის მთავარ ვიდეოეკრანზე ვიზიტორებს საშუალება აქვთ საქართველოს შესახებ ვიდეო რგოლები იხილონ, გაეცნონ საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს. საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბანერებით შეფუთულია მადრიდის საერთაშორისო გამოფენის შესასვლელი და მოსასვენებელი ადგილები.

საინფორმაციო ბანერები განთავსდა ყველა საფეხმავლო ბილიკზე. საქართველო უზრუნველყოფს საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ინტერნეტ მარკეტინგსაც, აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მათი ინფორმაციით, გამოფენას გაეწეოს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი დავით ზალკალიანი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, ესპანეთის სამეფოში საქართველოს ელჩი ილია გიორგაძე და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მედეა ჯანიაშვილი ესწრებიან.

„Fitur მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილესი საერთაშორისო ტურისტული გამოფენაა, აქ მონაწილეობა ტურიზმის ყველა ინდუსტრიის წარმომადგენლისათვის უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ წელს ეს არის პირველი გამოფენა ევროპაში, რომელიც რეალურ სივრცეში იმართება. გამოფენაში მონაწილეობით საქართველოს უნიკალური შესაძლებლობა მოგვეცა, ვიყოთ პარტნიორი ქვეყნის სტატუსით წარმომადგენელი შეხვედრებისა და ინტერნეტ სივრცის მიმართულებით, რაც გულისხმობს არამხოლოდ ონლაინ სივრცეში და სოციალურ ქსელებში ქვეყნის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას, არამედ პრეზენტაციას და ბრენდირებას მთლიანი საგამოფენო სივრცეში. ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა პოსტ-კოვიდურ პერიოდში წარმოვიჩინოთ საქართველო ტურისტული პროდუქტებით, რაც კავშირშია უსაფრთხო მოგზაურობასთან, ეს არის სათავგადასავლო, ეკო, აგრო ტურიზმი, გასტრონომია და ლვინო“, - აცხადებს მედეა ჯანიაშვილი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, მადრიდის წლებზედამდე გამოფენაში 261 ათასი დამთვალიერებელი ჰყავს. როგორც ისინი აღნიშნავენ, გამოფენაზე 165 ქვეყანა წარმოდგენილი, გამოფენას 11 ათასი კომპანია და 7 ათასზე მეტი ჟურნალისტი ესწრება.

კახეთში საავტომობილო სინქარის კონტროლის სექციები ამოქმედდა

შსს ინფორმაციით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა კახეთის რეგიონში საავტომობილო სინქარის კონტროლის 6 სექცია ამოქმედდა. ვიდეოკამერები თელავის, გურჯაანისა და ყვარელის რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული.

1. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიდან (სოფელი სანავარდო) - ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სინქარე 80 კმ/სთ.

2. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) - ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრამდე (სოფელი სანავარდო). ნებადართული სინქარე 80 კმ/სთ.

3. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) - ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრამდე (სოფელი ველისციხე). ნებადართული სინქარე 80 კმ/სთ.

4. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრიდან (სოფელი ველისციხე) - ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სინქარე 80 კმ/სთ.


5. თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 0 კილომეტრიდან - თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 2 კილომეტრამდე. ნებადართული სინქარე 60 კმ/სთ.

6. თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 2 კილომეტრიდან - თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 0 კილომეტრამდე. ნებადართული სინქარე 60 კმ/სთ.

სულ საქართველოს მასშტაბით უკვე 1269 კმ. სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება სინქარის სექციური კონტროლის სისტემით.



დედოფლისწყაროს მერი სინოფარმის ვაქცინით აიცრა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი „სინოფარმის“ ვაქცინით შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებაში დღეს აიცრა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, COVID ინფექციის დასამარცხებლად ვაქცინა უალტერნატივოა. „მოვუწოდებ ჩვენს მოქალაქებს, დროულად ჩაიტარონ ვაქცინაცია, რაც პანდემიასთან ბრძოლის უალტერნატივო და ეფექტური საშუალებაა“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა. დღესვე „სინოფარმის“ ვაქცინით აიცრა მერის მოადგილე მალხაზ მირაბინაშვილი. მერაბიშვილმა დედოფლისწყაროს მოქალაქეებს აცრისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ინფექციის დასამარცხებლად ვაქცინაცია ერთადერთი სწორი გზაა.

ქინძმარაულის მარნის უდიდესი გამარჯვება

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან კონკურსზე International Wine Challenge 2021-ზე წარდგენილმა ქინძმარაულის მარნის ღვინოებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ოქროს თასი მოიპოვა.

IWC 2021-ზე მსოფლიოს 50 ქვეყნიდან ათასობით ღვინო იღებდა მონაწილეობას. ქინძმარაულის მარნის „კახური 2013“ IWC 2021-ის რჩეულია და ერთადერთი ქართული ღვინოა რომელმაც ოქროს თასი (Georgian White Trophy) დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ოქროს თასის მფლობელები ყოველწლიურად მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ხდებიან. ღვინის ექსპერტებმა უმაღლესი ქულებით შეაფასეს ქინძმარაულის მარნის „ქინძმარაული 2020“ და ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს, ხოლო ბრინჯაოს მედალი 2019 წლის მოსავლის ხიხეს გადაეცა. „International Wine Challenge“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი კონკურსია, რომელიც 38 წელია უკვე არსებობს და ყოველწლიურად ლონდონში ტარდება. გამარჯვებულ ღვინოებს მსოფლიო ღვინის ექსპერტები ფარული დეგუსტაციით ავლენენ და ოქროს თასით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით აჯილდოვებენ. კონკურსის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო ღვინოების გამოვლენა. The IWC-ის მინიჭებული მედლები ხარისხის სანდოობის უმაღლესი გარანტიაა. IWC 2021 შედეგები სრულად: www.internationalwinechallenge.com

წყალი - პრობლემა და პერსპექტივა

მზიას ზაფხული ძალიან უყვარს. უყვარს მზიანი დარიც და ღამის გათენებაც. ყოველ დღეს ჩიტების ჭიჭიკი აღვიძებს და კარგ განწყობაზე აყენებს. მის ეზოში ბაღნარი თვს იწონებს. მაისია. ვარდების ყვავილობის დრო. დილით ადრინადა დგება და ყვავილებს წყალს უსხამს. წყალი კი ძალიან სჭირდება ყვავილებს, რომ არ მოიწყინონ.

აქამდე წყალი გრაფიკით, მაგრამ ნორმალური წნევით მაინც მოდიოდა. ახლა კი უკვე დაიკლო. ცოტა ხანში მისი ბაღა უწყლოებით მოიწყენს. მოიწყენს თვითონაც. აღარ ექნება არა მარტო ყვავილების საკმარისი წყალი, არამედ აუცილებელი მიხმარებისაც. უკვე წლებია, ზაფხულის მოახლოებას შიშით ელოდება.

სამწუხაროდ, არც წლებანდელი ზაფხული იქნება გამონაკლისი. დედოფლისწყაროელები ამბობენ, რომ ზოგ უბანში წყალი ფუფუნებად უკვე იქცა და სარეცხის მანქანებისა და გამაცხელებლების ჩართვას ვეღარ ახერხებენ. წყლის დეფიციტს დეფიციტზე საუბრობენ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლებიც. ისინი არ მალავენ, რომ მუნიციპალიტეტში წყლის დეფიციტი უკვე საგრძნობია და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებულები არიან, წყლის მიწოდების ახალი გრაფიკი ამოქმედონ.

მათი ინფორმაციით, წყლის მიწოდების ახალი გრაფიკი ორშაბათიდან ამოქმედდება და წყალს მოსახლეობა სამ დღეში ერთხელ მიიღებს. „1 დღეს წყალი მიეწოდება სოფლებს; სამრეკლოსა და ხორნაბუჯის მცხოვრებლებს, მეორე დღეს - ქალაქ დედოფლისწყაროს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას, მესამე დღეს კი-დასავლეთის მხარეს მცხოვრები აბონენტები მიიღებენ წყალს. წყლის მიწოდების საათები დილის 7 სთ-დან-14 სა-

ათამდე განისაზღვრება. თუმცა, არსებობს პრობლემური უბნები, რომელთათვისაც უკვე გამოიყო დამატებითი წყალმიწოდები. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფენ მათ სასმელი წყლით“-განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელმა სიმონ ყოჩიაშვილმა.



წყლის დეფიციტის გაზრდის თაობაზე კი ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს დგამს. „ქ. დედოფლისწყაროში და მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის დეფიციტის გაზრდის მიზნით ინფრასტრუქტურული სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება“-ამის შესახებ განცხადება მერიაში 20 მაისს გამართულ შეხვედრაზე გაკეთდა.

სამუშაო შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერის მოადგილე დავით ფხიკვილი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და შპს „კომპორტმენ XXI“-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქ. დედოფლისწყაროს, სოფლების ხორნაბუჯისა და სამრეკლოს წყალმომარაგების

ტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, უახლოეს პერიოდში დაიწყება წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ყველა პროექტი, რომელთა დასრულების შემდეგაც ქ. დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. „ესაა ისტორიული პერიოდი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, რადგან ვიწყებთ უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, რომელთა დასრულების შემდეგაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. ეს უკვე რეალობაა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის 57 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

მოსახლეობის ნაწილში კი სკეპტიკური განწყობა კვლავ ძლიერია. დედოფლისწყაროელები ამბობენ, რომ დაპირება 24-საათიანი წყალმომარაგებაზე ამდენჯერმე გაიცა, მაგრამ რეალობად არ იქცა.

მოსახლეობის ნიჰილისტურ განწყობას არ იზიარებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი. ნიკოლოზ ჯანიაშვილი აცხადებს, რომ ამჯერად ეს რეალური პროექტია და მომავალი კვირიდან ბევრი სიახლე იგეგმება დედოფლისწყაროს ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით.

*** „კარგი წყარო, თუ მინა ბაწყარა, შრება, არაი იმპრეპაჟო“- ეს ხალხური გამომთქმვა ჰქვია ზემოთაპყრობის დღეს და-ლოფლისწყაროში. იმედი, ეს ნებატიური განწყობაც და რეალობაც მალე წარსულის კუთხეში გახდება.

„შენ სასწაული ბედის ერი ხარ“

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

კავკასიელმა ხალხებმა, რა თქმა უნდა, არ აღიარეს ეს შეთანხმება და 1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს, ცენტრით თბილისში. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის ისტორიაში. ახლადშექმნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა მრავალპარტიული შემადგენლობის სეიმი, რომლის თავჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ-დემოკრატი ნ. ჩხეიძე. მისი მოადგილეები იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული პარტიების წარმომადგენლები.

რევოლუციის დაწყების დღიდან, განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შემდეგ, დაიწყო კავკასიის ფრონტზე თურქებთან მებრძოლი რუსეთის არმიის დამლა. ჯარისკაცებმა ოფიცერთა დიდი ნაწილის ამოხოცვის, ალჭურვილობისა და იარაღის თურქებისთვის მიყიდვის შემდეგ დატოვეს ფრონტი და რუსეთში დაბრუნება დაიწყეს. საქართველო და სომხეთი თითქმის მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა ძლიერი თურქეთის პირისპირ. რუსეთის ჯარში განვეული 200 000 ქართველიდან საქართველოში მხოლოდ 15000-დან 18000-მდე სამხედრო მსახურობდა; დანარჩენები გერმანიისა და ავსტრიის ფრონტზე რჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიელებმა, ყოველ შემთხვევაში — ქართველებმა და სომხებმა მაინც — გადაწყვიტეს, წინ აღდგომოდნენ თურქეთის წინსვლას. როგორც კი თურქეთის ჯარები საქართველოს და სომხეთის ჯარებს ნააწყენდნენ, გაჩაღდა ბრძოლა. მაგრამ ეს ბრძოლა დასაწყისშივე განწირული იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მესამე წევრმა, აზერბაიჯანმა, რომელიც თურქების მონათესავე ხალხით არის დასახლებული და მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს, თურქეთის მხარე დაიჭირა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამოიწვია გადარჩენის ერთადერთი გზა — დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე

მაღლა. აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებეთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!“.

ქართველებმა და სომხებმა ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევის წყალობით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით.

ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკა-

საქართველოს „ეროვნული საბჭოს“ სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ენოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

შემდეგი ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთში და აზერბაიჯანში.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-

ლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემეერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაიარჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.“ ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

- 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.
- 3) საერთაშორისო ომანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმზობითი განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
- 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
- 7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ზამ 26 მაისი. საქართველოს ველზე უხვად ყვავიან ყაყაჩოები. ადამიანები ფოტოებს იღებენ გადნიერი იარით... ნიშნად შეღებულან ქართული მიწები... და უმარაოდ მახსენდება 300 არაბული, კრანისის ყაყაჩოები და ქარს უჩვეულო სივრცე მოაძვს, კრანისის სივრცე...
ინგა შიოლაშვილი



სიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ. ჟორდანიას თავჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის ა. ჩხეიძის წერილი, რომელშიც ის, აღწერდა რა მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას, ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება. იმავე დღის საღამოს კი შედ-

ლობის აქტი”, რომელშიც კერძოდ, ნათქვამი იყო:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისაგან დაეცვა. „რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. „დარჩენი რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდევს თავს საკუთარი საქმეების გაძლო-

მ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ი ყ ვ ა რ დ ა კ რ ძ ა ლ გ ი თ . . .

„მშვენიერ შუასაო, ბარს ეხვეოდამო“-
ეს ხალხური ლექსი ყველაზე იცის, მათ შორის ბავშვებაც. მაც აღრული ასაკიდან მომყვება საქართველოს მშხასთან მსბავსება. ფოთლოვანი, ძლიერი ხე, მძლავრი ბარჯით, რომელსაც მშვენიერ შუასა, მებრამ მასთან ყოველთვის მარცხდება...

„მუმილი ამოწყდაო, მუხა გადარჩაო“...

ბევრმა ქართველმაც „უმუმლა“ სამშობლოს, საკუთარ კეთილდღეობასა და თანამდებობას ხშირად შესწირა სამშობლოს ბედი...

„მე თუ მტრობდნენ, სამშობლომ რაღა დაუშავათო“ - ეს გულმოკლეული მეფის სიტყვებია, ახლობლების დალაცხით შეცბუნებული პატრიოტი მეფის.


ხშირად იღენებოდა სისხლის კალო საქართველოში, ხშირად თამაშობდნენ ქვეყნის ბედითა თუ უბედობით. მზე ჩადიოდა, ქალთა და ბავშვთა კვილი ღრუბელივით ეკიდა ცაზე...

სამშობლოდან მოტაცებულ და გარეკილ ქართველ ბავშვებს მამელუქებად ზრდიდნენ და საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ.

უამრავი ტრაგიკული ისტორია ინერებოდა საქართველოში. ბევრჯერ განითლდა ცა ადამიანთა უბედურებით, ბევრმა დედამ ჩაიცვა ძაძა, უა-

მრავის ცხოვრება გახდა გაუსაძლისი...

სამშობლოს სიყვარული მაინც ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი იყო.



დედები ზრდიდნენ შვილებს იმ სულისკვეთებით, რომ საქართველოსთვის მომკვდარიყვნენ. ასეთი დედის სახეა 9 ძმა ხერხეულიძის დედა, რომელმაც ყველა შვილი უშურველად შესწირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. მუდმივად არსებობდნენ ასეთი დედე-

ბი, მუდმივად იზრდებოდნენ ამიტომაც გმირები!

საქართველო თანამედროვე გმირობის ისტორიებსაც ყოველწლიურად

წერს. 9 აპრილის მოვლენებიდან მოყოლებული - 2008 წლის ომით დამთავრებული... თუმცა, არც ომებით მთავრდება გმირების ჩამონათვალი...

„მუმლობის“ მოყვარულებს გმირები სჯაბნიან, მუმლი იღევა, ვერ უძლებს ჩვენს, თუნდაც ერთეულ,

თითზე ჩამოსათვლელ გმირებს.

26 მაისი ჩვენი თანამედროვეობის გამორჩეული ადამიანის - მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. ალბათ, არც ესაა შემთხვევითი. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება უარი თქვა თავისუფლებაზე და გისოსებს მიღმა გაატარა ახალგაზრდობა, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მისი შინაგანი თავისუფლებისთვის. მონამებრივი, დსიდენტური ცხოვრების შემდეგ ქვეყანას მოუტანა თავისუფლება და გმირის მანტიაც მოისხა...

თანამედროვე თუ წარსულის გმირობის მაგალიტებზე ხვალაც გაიზრდებიან გმირები, ისინი, ვინც ქვეყნის მომავალს ააშენებენ და დიხაც, თავიანთ სიტყვას იტყვიან მეცხრეულებსა და კულტურაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაიცავენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და იმიჯს.

„მშვენიერ შუასაო, მუხა გადარჩაო“!

იარსებებს სიმღერაც და იარსებებს სამშობლოსათვის თავგანწირვის სულისკვეთებაც!

„მშვენიერ შუასა, საქართველო! დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ!“

ინგა შიოლაშვილი

„მუზეუმების მომავალი - აღდგენა და გარდასახვა“

მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) გადაწყვეტილებით, 1977 წლიდან, მუზეუმის საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნება. წლებადღე, 2021 წლის თემა - „მუზეუმების მომავალი - აღდგენა და გარდასახვა“. ჩვენი მუნიციპალიტეტიც უკვე წლებია უერთდება ამ კვირეულს. 18-დან 22 მაისის ჩათვლით გაიმართა სხვადასხვა თემატიკის კონფერენციები, გამოფენა-გაყიდვები და კულტურული ღონისძიებები.

18 მაისს მუზეუმების კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა კონფერენცია თემაზე „ქართული ვაზის წარმოშობა“. მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასაბაშვილმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, თითოეულ მუზეუმელს მიულოცა ეს დღე და წარმატებები უსურვა პროფესიულ საქმიანობაში. კონფერენციას უძღვებოდა ასევე მუზეუმის თანამშრომელი ნინო შოშიაშვილი. მან ისაუბრა ქართული ვაზის წარმოშობის ისტორიაზე, სხვადასხვა ჯიშებზე, მათი კახეთსა და მთელს საქართველოში არსებულ რაოდენობაზე, მათ განსაკუთრებულობასა და თვისებებზე. ქალბატონმა ნინომ ასევე აღნიშნა, ქართული ღვინის მსოფლიო წარმატება, მისი მიღების, დაყენებისა და გამოყენების სფეროები. კონფერენციასზე

ლოგის, ტაკევიდე ჰარადას პერსონალური გამოფენა გაიმართა. მირზაანში აკემი ლუკასის შემოქმედების დათვალიერების საშუალება მსურველებს 18 ივლისამდე შეეძლებათ.

19 მაისი ჩვენთვის, როგორც ქიზიყის შვილებისთვის, მეტად საინტერესო თემას მიეძღვნა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა დალი ბაღაშვილმა მიმოიხილა თემა „ქიზიყელი - დიდმოქმენი და მეჩხუბარნი“. გთავაზობთ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ რამდენიმე საინტერესო ფაქტს, რომელიც შეიძლება, დღემდე არ გქონდეთ გაგონილი, მოსმენილი ანდაც ნაკითხული: „ერთ ქიზიყელ მხედარს, ვინმე დათუქიშვილს, თბილისში ჩაეძინა და ქალაქელებმა ცხენი მოჰპარეს. მიადგა დაზარალებული მეფის სასახლეს და ხმამალა გინება დაიწყო. სტაცეს ხელი მცველებმა და ერეკლე მეფესთან შეიყვანეს. გადაიხარხარა მეფე: - მართლა ქიზიყელი ხარ, ამ შუა ქალაქში რომ ჩაგძინებია, არ იცოდი, რომ ცხენს მოგპარავდნენ? - ეხ, მეფეო-უპასუხა ქიზიყელმა- მე იმიტომ მეძინა, მეგონა შენ არ გეძინა, თორემ მეფეს რომ სძინავს, იმ ქვეყანაში რა დამაძინებდაო“. ასევე: „ქიზიყის მთელი მოსახლეობა სამხედრო ვალდებული იყო. სამხედრო ვარჯიშს ქიზიყელი იწყებდა 7 წლის ასაკიდან. 12 წლიდან მოზრდილთა ჯგუფებს აყალიბებდნენ და მწვრთნელად გამოცდილ მოხუცებს უყენებდნენ. საერთოდ, სამხედრო ვალდებულად 15 წლის ჭაბუკი ითვლებოდა, მაგრამ 17-18 წლამდე მათ მხოლოდ დამხმარედ იყენებდნენ. მკაცრად იყო განსხვავებული ასაკობრივი შეფარდება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ცალკე ჭაბუკები ან ცალკე ჭარმაგი შენაერთების ჩამოყალიბება, ძალა შეერთებული იყო გამოცდილებასთან, სიფიციე - სიბრძნესთან. წვრთნა მთავრდებოდა



საგანგებო გამოცდით, თუ ახალგაზრდა გამოცდას ვერ ჩააბარებდა, მას ლამაზობაში არ დაუშვებდნენ. ეს კი საშინელება იყო. ასეთ პიროვნებას ახლოს არავინ იკარებდა, ის ცოლსაც კი ვერ შეირთებდა. სამხედრო ცხოვრების წესმა გარდაქმნა ქიზიყელის ბუნება. ისინი მტკიცედ იყვნენ შედუღებული ერთმანეთთან. გამოირცხული იყო ბრძოლის დროს ღალატი, ერთიანობა იყო მათი ხსნა. სამშობლოს ღალატისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი სასჯელი - სიკვდილი. „მოჩხუბარნი“ არიანო ქიზიყელები, სწერს ვახუშტი ბაგრატიონი. „მოჩხუბარნი“ მეომარს ნიშნავს. ქიზიყი დადგენილი იყო მტკიცე ნესი: თუ ვინმე გაიგებდა საომარ ყიუინას, მაშინვე ყველა ხმაურის ადგილას მიაშურებდა. ქიზიყის ლაშქარი სულ რამდენიმე საათში იკრებებოდა. შეტევათი ლაშქრობის დროს ყველამ იცოდა შესაკრები ადგილი: თუ ჭარ-ბელაქნისთვის უნდა დაერტყათ, ხორის მონასტერში ცხადდებოდნენ, თუ განჯაზე აპირებდნენ - მალაროში იყრიდნენ თავს“. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ერეკლე მეორის დამოუკიდებულებაზე ქიზიყელთა მიმართ და ბოლოს, საინტერესო წარდგენა დაასრულა ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით: „ქიზიყელები ამჟამად ხალხია. ცოტაოდენს წყენასაც არავის დაუთმობენ და არავის ადვილად არ დაებრივებინან. დამოუკიდებლობა მათ ძალიან უყვართ სიტყვა-პასუხში, სიარულსა და მიხვრა-მოხვრაში ქიზიყელებს აშკარად ეტყობათ, რომ ბატონ-ყმობის უღელი კისერზე არა სდგამათ და არ დაუზარავენ თავი. თითოეული ქიზიყელი სიამაყით გეტყვით, - ჩვენ ვინ გვაჯობებს, ყოველთვის უბატონონი ვიყავით და ვიქნებით კიდევცო“.

20 მაისი, დაეთმო მომხსენებელ მარინა მახარაშვილს, თემით: „ქვა მკვდარი და მარად ცოცხალი“. ქვესთან ჭიდილში ქმინდნენ ჩვენი წინაპრები ისტორიას. ქვის მასალა იარაღები, სამკაულები თუ ნაგებობანი საშუალებას გვაძლევს ჩაგვახედონ ჩვენი პრეისტორიის

ხვეულებში. მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება, მისი კლიმატი, ფლორა და ფაუნა. ასევე მრავალფეროვანია ქვებიძევა სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. მომხსენებელმა მიმოიხილა ქვების მრავალფეროვნება, წარმომავლობა, მრავალმხრივი დანიშნულება, უძველესი, ისტორიული ხანიდან დღემდე. „ქვამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ადამიანის გაჩენიდან და უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინეს მას ადამიანებმა, რადგან ქვას დღემდე არ დაუკარგავს მისი მნიშვნელობა და დანიშნულება“.

21 მაისი, მომხსენებელმა ლილი ხუციანთაშვილმა დედოფლისწყაროს ტურისტულ მნიშვნელობას და რუკაზე მის ადგილს დაუთმო. „თეთრი აკაცის ჯადოსნური მხარე მუდამ ელოდება თავის უბეში გაზრდილ გოგონა-ბიჭებს! უცხო მხარეში წასული დედოფლისწყაროელებისთვის, ყოველთვის ჯადოსნურ მოგონებად დარჩება წარსულის ლამაზი ადგილები - „მაზოკა“, „დვა ბრატა“, „ჩემოდან-გორა“, „ლენინოვკა“, „მლა-შე ტბა“, „არიოლ ბალკა“, „პატარა ტბა“ (ყარლაჩი), „თამარის ციხე“ და, რა თქმა უნდა, დიდებული „წმინდა ელიას მთა“. მაშინდელი „წითელწყაროდან“ წასული ადამიანების მესხიერებაში მუდამ შემორჩება აქაური ღირსშესანიშნაობებისადმი მიძღვნილი ლეგენდები: „პირიმზე თამარი მეუღლე დავით სოსლანთან ერთად ეწვია კამბეჩოვანს, წმინდა ნინოს საფლავი მოილოცა, ორი კვირა იცხოვრა ხორნაბუჯში, წმინდა ელიას მთის მონასტერს ოქროს ქოში აჩუქა, ფეხით დაიარა ივრისპირეთი, სადაც ქურციკი გაუჩერდა ნინო. მივიდა თამარი - ნაღვლიანი თვალეები ამოუკოცნა, სამეფო ყორულად (ნაკრძალად) გამოაცხადა მთელი მხარე. იმ წელს სულ ოქროსთმინაები ქალ-ვაჟები იბადებოდნენ კამბეჩოვანშიო“. არსებობს სხვა ლეგენდაც: „ხორნაბუჯში გაჩერებულს, გასერივნება მოუსურვებია, ამაღლა გაუყოლებია და აღმართს შესდგომია. ვინრო ბილიკი დაბურულ ტყეს მიუყვებოდა. ტყე, რომ გაუვლიათ, ერთ მოქაჩლო მალღობზე მოხვედრილა, იქედან ხელსვლილით მოჩანდა მთელი შუა კახეთი. ზედ მთის წვერზე კამკამა წყარო მოჩუჩუხებდა. თამარ მეფეს ოქროს თასით წყალი დაუღვია და უთქვამს-ვეჭვობ ასეთი სასმელი წყალი სხვაგან იყოს, ცოდვას ამისთანა წყალი უსარგებლოდ რომ იღვრებოდეს, ციხეს დაუვახლოვოთ, არ მშვენიერ სათავეს კი ნუ მოუშლით ტყის ბინადართ, დასალე წყალს ნუ მოუსპობთო. ხორნაბუჯის პატრონს საღირ მახატლის ძეს აღუთქვამს, რომ მეფის ნება-სურვილი ასრულდებოდა. თამარს ისე მოსწონებია წყარო, რომ ვიდრე იქ იყო, ყოველდღე დადიოდა და ცივ წყალს სვამდა. ხოლო როცა სატახტო ქალაქს დაბრუნებულა, ვეზირები უგზავნია „ჭოეთის აიაზმის“ ჩამოსატანად. იმავე წელს წყარო თიხის მილებით მოუყვანით ხორნაბუჯის ციხემდეო“. ამის შემდეგ ამ წყაროს დაარქვეს „დედოფლის წყარო“ და აქედან იღებს სათავეს ჩვენი რაიონის დასახელება. ხორნაბუჯს ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობაც, ის მდებარეობდა იმ სავაჭრო გზაზე, რომელსაც „აბრეშუმის გზა“ ეწოდებოდა. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები. ხორნაბუჯის პირველი მოხსენიება მეექვსე საუკუნით თარიღდება.

22 მაისს კვირეული დახურა გამოფენამ „არქეოლოგიური აღმოჩენები დედოფლისწყაროში“. თემის მომხსენებელი ლალი ბასილაშვილი მუზეუმის გახსნის



დღიდან ემსახურება სამუზეუმო საქმეს, მრავალი წლის განმავლობაში იგი მუზეუმის ფონდის მცველი იყო და იცავდა თითოეულ ექსპონატს. მან მოპოვებული თუ აღმოჩენილი ყველა ნივთის ისტორია იცის. მისი თემის ფარგლებში ჩატარებულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ნივთები: კახური სატყვერები, მეომრების აღჭურვილობა, სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი. ლალი ბასილაშვილმა დამსწრე საზოგადოებას დიდწარსულ ველის შესახებაც მიენოდა ინფორმაცია, რომელიც დღემდე კვლევის პროცესშია და სადაც სამუშაოები დღემდე მიმდინარეობს.

ლალი ბასილაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას მიმოიხილა კვირეული და აღნიშნა, თანამშრომლების ძალიან დიდი შრომა, რომელიც მათ მუზეუმების კვირეულის მოსამზადებლად გასწიეს. კვირეულმა უსაფრთხოდ და ეპიდემიოლოგიური ნესების სრული დაცვით ჩაიარა. ქალბატონი ლალი მუზეუმის ყველა თანამშრომელს ულოცავს პროფესიულ დღეს, უსურვებს წინსვლასა და წარმატებას საკუთარ საქმეში.

განხილული იყო ღვინის მარნების დანიშნულება, რომელიც ძველად სახლის პირველ სართულზე იყო განთავსებული. მარნები რამდენიმე ტიპის იყო, სადაც ძველად ჯვრისნერებიც კი იმართებოდა. ქალბატონმა ნინომ ასხედა დედოფლისწყაროში არსებული ღვინის მარნები და მათი წარმატებული მფლობელები, მეღვინეები: გოდერძი გონაშვილი, ბექა ნასრაშვილი, მარი ღვედაშვილისა და ვანო ელოლაშვილის ოჯახი, რომლებიც წლები უმსახურებიათ ვაზისა და ღვინის, როგორც ერთ-ერთი ეროვნული განძის მოვლასა და პატრონობას.

ასევე 18 მაისს, იაპონიის საელჩოში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოფენა გაიმართა. მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში იაპონელი კალიგრაფისტის აკემი ლუკასის (კომუ) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა. იაპონიის საგანგებო და სრულფუნქციონირი ელჩი საქართველოში აპირა იმამურა მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლმწიფო მუზეუმში იაპონელი ხელოვანის - კომუს (აკემი ლუკასი) კალიგრაფიის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენის გახსნას დაესწრო. აკირა იმამურა ფიროსმანის მუზეუმში კახეთის მხარეში სამხარეო რწმუნებულთან ირაკლი შიოშვილთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანაშიაშვილთან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან ბიორბი ბოგაშვილთან ერთად იმყოფებოდა. ნიკოლოზ ჯანაშიაშვილმა სტუმარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იაპონური კულტურის პოპულარიზაციის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ასევე, მირზაანში აკირა იმამურამ ახალგაზრდა მირზაანელი მხატვრის, ბელა ლოპსანიძის ნამუშევრებიც დაათვალიერა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სტუმრობამდე ელჩი და ხელისუფლების წარმომადგენლები სიღნაღში იმყოფებოდნენ, სადაც იაპონელი მხატვრისა და ფიროსმანო-



მუზეუმების კვირეული აღინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხალხთა მეგობრობის მუზეუმშიც. მუზეუმი კვირეულის განმავლობაში, ყოველდღიურად მასპინძლობდა გამოფენა-გაყიდვებს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისვლა და სასურველი ნივთის შეძენა. ხალხთა მეგობრობის მუზეუმს ეწვივნენ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. მუსიკის მასწავლებლის ირინა ალუილიშვილის ხელმძღვანელობით სოფელ ჭოეთის ბავშვების მონაწილეობით შესრულდა სიმღერები ბოშურ ენაზე. ღონისძიებებში ჩართული იყვნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც. მუზეუმის დირექტორი ქეთევან მჭედლიშვილი მუზეუმების ყველა თანამშრომელს ულოცავს პროფესიულ დღეს და უსურვებს წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში.

გაზეთი „შირაქი“ უერთდება მილოცვებს და ჩვენი მუნიციპალიტეტის მუზეუმების თითოეულ თანამშრომელს უსურვებს შემოქმედებით წინვლას, წარმატებასა და განვითარებას პროფესიულ საქმიანობაში. მათი წვლილი განუზომელია ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კულტურის განვითარების საქმეში.

ხათუნა ბენაშვილი
ქუთუნა ყანაშვილი

ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იწყება

მირზანში, გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იგეგმება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, ილია მარტყოფლიშვილის ინიციატივით, „რეგიონალური განვითარების პროექტის“ ფარგლებში, ფიროსმანის მუზეუმის საამსოო-სამუშაო დარბაზისა და ეზოს განვითარებისთვის 1 მილიონი ლარი გამოიყო. შეიძლება ეტაპზე თანხა, შეასაძლოს, გაიზარდოს.

მანამდე კი, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, ფიროსმანის მუზეუმმა იაპონიის ელჩს უმასპინძლა. იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აკირა იმამურა მირზანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში იაპონელი ხელოვანის — კომუს (აკემი ლუკასი) კალიგრაფიის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენის გახსნას დაესწრო. აკირა იმამურა ფიროსმანის მუზეუმში კახეთის მხარეში სამხარეო რწმუნებულთან ირაკლი შიოშვილთან, დე-

ციპალიტეტში იაპონური კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. მირზანში აკირა იმამურამ ასევე ახალგაზრდა მირზანელი მხატვრის, ბელა ლომჯანიძის ნამუშევრებიც დაათვალიერა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სტუმრობამდე ელჩი და ხელისუფლების წარმომადგენლები სიღნაღში იმყოფებოდნენ, სადაც იაპონელი მხატვრისა და ფიროსმანოლოგის, ტაკეჰიდე ჰარადას პერსონალური გამოფენა გაიმართა. ღონისძიებები მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. მირზანში აკემი ლუკასის შემოქმედების დათვალიერების საშუალება მსურველებს 18 ივლისამდე შეეძლებათ.

18 მაისს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმმა იაპონელი მხატვრის, ფიროსმანოლოგის, ტაკეჰიდე ჰარადას პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.

გამოფენა იაპონიის საელჩოსა და ეროვნული მუზეუმის ინიციატივით მუზეუმების საერთაშორისო დღეს



აველას კრებულის ილუსტრაციები წარუდგინა.

1978 წელს ტაკეჰიდე ჰარადა ჩართული იყო გიორგი შენგელაიას ფილმის „ფიროსმანის“ იაპონურ პრემიერაში. 24 წლისა იგი ისე მოიხიბლა ამ ფილმით და იმდენად დაინტერესდა მხატვრის ცხოვრებითა და შემოქმედებით, რომ მას შემდეგ ფიროსმანი არასოდეს გამქრალა მისი ხსოვნიდან, მისი გულიდან და მისი შემოქმედებიდან.

სამწუხაროდ, ტაკეჰიდე ჰარადამ ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ მან ქართველ მეგობრებს მადლიერებით აღსავსე წერილი გამოუგზავნა: „ჩემი გამოფენის სათაურია „წმინდა ფიროსმანი“ და იგი გიორგი შენგელაიას ეძღვნება. ჩემთვის მძიმე პერიოდებში ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ ფიროსმანზე. მუდამ ვეკითხები საკუთარ თავს, ხომ არ ვენიანა-აღმდეგები ფიროსმანს? იმიტომ, რომ გიორგი შენგელაიას ფილმში ნაჩვენებია ფიროსმანი ჩემი ღმერთია. ის მუდამ ჩემს გულშია და მე მას ვეთაყვანები. აქ გამოფენილი ნამუშევრები ჩემი გულიდანაა ამოსული. ისინი შავ ფერზეა დაფუძნებული, ფიროსმანისეული ტილოების შავ ფერზე. ფიროსმანის შემოქმედებამ მაგრძობინა, რომ შავი ძალიან მდიდარი და ძალიან კეთილშობილი ფერი შეიძლება იყოს.“

ძალიან ვნუხვარ, რომ ვერ მოვასწარი და ჩემი ეს ნამუშევრები ვერ ვაჩვენე ბატონ გიორგის, რომელიც მშობელი მამასავით მყავდა საქართველოში.

დასანანია, რომ პანდემიის გამო საქართველოში ვერ ჩამოვედი, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლისთვის სასიამოვნო იქნება იმაში დარწმუნება, რომ შორეულ იაპონიაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიროსმანით და საქართველოთი არიან გატაცებული,” - ნათქვამია მხატვრის მიერ გამოგზავნილ წერილში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღით მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს კიდევ ერთი მეგობარი, ქართველოლოგი იასუსუჰირო ჯოჯიმა. სწორედ მან თარგმნა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-იაპონური კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში. გამოფენის მთავარი იდეაც სწორედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება და ქართულ-იაპონური კულტურის ერთმანეთისთვის გაზიარება იყო.

გამოფენა მუზეუმში 1 თვის განმავლობაში დარჩება.

მომზადდა
ინგა შიოლაშვილმა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან ბიორბი ბობილაშვილთან ერთად იმყოფებოდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სტუმარი დედოფლისწყაროს მუნი-

ციპალიტეტში იაპონური კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. მირზანში აკირა იმამურამ ასევე ახალგაზრდა მირზანელი მხატვრის, ბელა ლომჯანიძის ნამუშევრებიც დაათვალიერა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სტუმრობამდე ელჩი და ხელისუფლების წარმომადგენლები სიღნაღში იმყოფებოდნენ, სადაც იაპონელი მხატვრისა და ფიროსმანოლოგის, ტაკეჰიდე ჰარადას პერსონალური გამოფენა გაიმართა. ღონისძიებები მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. მირზანში აკემი ლუკასის შემოქმედების დათვალიერების საშუალება მსურველებს 18 ივლისამდე შეეძლებათ.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მორიგი წარმატება

დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენები იმყოფებოდნენ საქართველოს შერეული საბრძოლო ხელოვნებების (MMA) ჩემპიონატზე. სპორტის ამ სახეობას უმეტესობა ე.წ. „ბრძოლა წასების გარეშე“ სახელით იცნობს. ჩემპიონატზე საქართველოს ყველა რეგიონის სპორტსმენი მონაწილეობდა.

დედოფლისწყაროს გუნდიდან აღნიშნულ ტურნირზე ორი სპორტსმენი გახდა საქართველოს ჩემპიონი, ბივი ბოჩიტაშვილი და ვაკო მოსაშვილი. გივი ბოჩიტაშვილმა პირველი მონინალმდევე აშკარა უპირატესობით დაამარცხა, ხოლო ფინალურ ბრძოლაში საკმაოდ ძლიერ მეტოქეს შეხვდა, სადაც სამ რაუნდიან დაძაბულ ბრძოლაში ქულებით იმარჯვა.

რაც შეეხება ვაკო მოსაშვილს, ვაკოც არანაკლებ ძლიერ მეტოქეს შეხ-



ვდა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მანაც ქულათა სხვაობით იმარჯვა და გახდა საქართველოს ჩემპიონი.

„დედოფლისწყაროს უშუს გუნდმა კიდევ ერთხელ ასახელა საყვარელი მუნიციპალიტეტი. მადლობა სპორტსმენებს დაუღალავი შრომისთვის. ასევე, დიდი მადლობა ჩვენს მერიას და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის“ - განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში გუნდის მწვრთნელმა ბიორბი ცისკარაშვილმა.

საქართველოს შერეული ორთაბრძოლების ფედერაციამ დედოფლისწყაროელი სპორტსმენები დააჯილდოვა. სპორტსმენების ბრძოლებს მსაჯობდნენ სახელგანთქმული ქართველი მებრძოლეები რაულ თუთარაული და UFC-ის პირველი ქართველი მებრძოლი ლევან მაყაშვილი.

გარე კახეთის ზეგანზე სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა

ბანვლო 30 წელზე მეტმა, რაც არსაობა შეწყვიტა სოციალისტურმა წყობამ, დაიბრუნა და კერძო მფლობელობაში გადავიდა რესპუბლიკაში არსებული მსხვილი საზოგადოებრივი მემურნეობები (კოლმემურნეობები, საბჭოთა მემურნეობები და სამემურნეობათმშობრისი ბაბრთინაბაბი).

თითქმის 70 წლის განმავლობაში დაგროვილი საკოლმემურნეო ქონება, ძირითადი საშუალებები გადახანილდა ფერმერებზე, მინის კერძო მფლობელებზე და პირებზე. მთელი ამ წლების განმავლობაში გვეხმის სხვა-ბასი, რა უარყოფითი გააჩნდა სოციალისტურ წყობას. განსაკუთრებით ნეგატიურად შეფასდა განვლილი პერიოდი უკანასკნელი ათწლეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში დაბადებული და გაზრდილი მომავალი თაობა პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით ისმენდა ლანძღვას, უარყოფითად იხსენებენ განვლილ პერიოდს და საბოლოოდ ირკვევა, რომ ძველმა თაობებმა ყველაფერი რაც გააკეთეს, იყო ცუდი და მიუღებელი, მაგრამ ფაქტები, შრომიდან მიღებული შედეგები სხვა რამეზე მეტყველებს.

ჩვენ მიზნად ვისახავთ, მომავალ თაობებს შევასხენოთ და ერთი თვალის გადავხედოთ მოვუთხროთ ცხოვრებისა და მუშაობის ამსახველი ციფრები, რომელიც ნათეს მოფენს იმ ფაქტებს, რომ თქვენს წინა თაობებს დრო უქმად არ გაუტარებიათ და ქმნიდნენ სასიცოცხლო დოვლათს ქვეყნის მომავლისათვის. ჩვენ გვინდა გარე კახეთის ზეგნის ერთ-ერთი ძირითადი რაიონის დედოფლისწყაროს (ყოფილი წითელწყარო) მაგალითზე გაგახსენოთ, თუ რას წარმოადგენდა რაიონი და რა შედეგები ჰქონდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს წარმოების საქმეში.

რაიონის ადმინისტრაციული ტერიტორია სიდიდით მეორეა რესპუბლიკაში, სახნავ მიწებს საქართველოს მთელი ტერიტორიის მხოლოდ 18% უკავია და საშუალოდ ერთ მოსახლეზე დამუშავებული მიწების 0,25-0,30 ჰა მოდის, დედოფლისწყაროს რაიონში კი ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია და იგი 1,06 ჰა შეადგენს. რესპუბლიკის სხვა რაიონებთან შედარებით ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გაუფრთხილდეთ თითოეულ გოჯ მიწას.

გარე კახეთის ზეგნის, სადაც რაიონის სახნავ-სათესები მდებარეობს, კლიმატური პირობები არის კონტინენტური, ანუ იგი ითვლება მშრალ-გვალვიან ზონად. ამიტომ რაიონში მომუშავე ყველა მინათმოქმედი ზრუნავდა ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესებაზე, რათა გაზრდილიყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

რაიონის მეურნეობებს ეკავათ 114 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან სახნავი მიწები იყო 46 ათასი ჰექტარი, სადაც მარცვლეულ კულტურებს (ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი) ეკავა 30 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები (ვენახი და ხეილი) შეადგენს 8700 ჰა. საძოვრებს ეკავა 64 ათასი ჰა. რაიონის ტერიტორიაზე ტყის მასივი შეადგენდა 2800 ჰა. ქარსაცავი ზონები გამოქვეყნებული იყო 1090 ჰა, ბუჩქნარები 4900 ჰა, ჭაობი 16 ჰა, წყელი დაკავებული ფართობი 3140 ჰა, აქედან ჯაფარიძის ტბის ფართობი შეადგენს 42 ჰა, შენობა-ნაგებობის ქვეშ მოქცეული იყო 3200 ჰა და სხვა გამოყენებული მიწის ფართობი შეადგენდა 6200 ჰა.

მძლავრად იყო განვითარებული მეცხოველეობა. კერძოდ, მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენდა 23 ათას სულს, მათ შორის ძროხა და ფურკამეჩი 7200 სული, ღორი 35 ათასი სული, ცხვარი და თხა 140 ათასი სული, ფრინველი 2 მლნ ფრთა.

განსაკუთრებით განვითარებული იყო კოლმემურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რაიონში ყოველწლიურად საშუალოდ ინარმოებოდა 90-100 ათასი ტონა მარცვლეული, 70 ათასი ტონა ყურძენი, 10 ათასი ტონა მზესუმზირა, 17 ათასი ტონა რძე, 6 ათასი ხორცი (ცოცხალი წონა), 450 ტონა მატყელი, 22 მლნ ცალი კვერცხი და სხვა ბოსტნეულ-

ბალჩეული კულტურების მოსავალი.

რაიონში ფუნქციონირებდა 4 ღვინის ქარხანა, რომელიც სეზონზე ამუშავებდა 80-90 ათას ტონა ყურძენს. ცნობილი მიზეზების გამო ოთხივე ქარხანა დაიშალა. ღვინის ცისტერნები და სხვა მოწყობილობები განადგურდა, გაიყიდა, ჩაბარდა ჯარათად, ასეთვე ბედი ეწია მეფრინველეობის მეურნეობას, რომელიც დაინგრა, არასწორი პრივატიზება გაუკეთდა, იქ არსებული მოწყობილობები განადგურდა და ზარალი მიადგა რაიონის მოსახლეობას.

რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩატარდა მელიორაციის გზით, არსებული ვენახების 65-70% ფართობი ირწყვებოდა მდ. ალაზნიდან და ივრიდან, სარწყავი წყლის მექანიკური ამოქაჩვის მეთოდებით. ამ პერიოდში აშენდა ტარიბანაში ყუშისხევის წყალსაცავი 5 მლნ კუბური მეტრის მოცულობის, კრანჩხის ხევი 3 მლნ კუბური მეტრის, მწარე წყალზე - 4 მლნ კუბური მეტრი,



თელანწყლის 2,5 მლნ კუბური მეტრის და ზილიჩის 6 მლნ კუბური მეტრის. მდინარე ივრიდან წყალსაცავები მარაგდებოდა 22 კმ სიგრძის მილსადენებით, ხოლო მდინარე ალაზანზე მოქმედებდა 2 მძლავრი წყალსაქაჩი ტუმბოები. ზილიჩის და ალაზნის მასივებზე გაშენებული ვენახები ირწყვებოდა დაწვიმების მეთოდით. ამ მიზნით მთელი ფართობი დაიქსელა ფოსფატის და აზბესტის მიღებით და დასაწვიმებელი მოწყობილობით, აშენდა მრავალი ღვარსაშევი.

1983-91 წლებში ივრის ზონაში აშენდა „დალის მთის“ უნიკალური წყალსაცავი, რომლის ტევადობა შეადგენს 180 მლნ კუბურ მეტრს, აქედან სასარგებლო ფართობი არის 140 მლნ კუბური მეტრის, აღნიშნული წყალსაცავიდან უნდა მორწყულიყო 16 ათასი ჰექტარი ფართობი, ამ მიზნით დაპროექტდა ივრის და სამუხის ზონაში ორი მევენახეობის მეურნეობის მშენებლობა, კერძოდ საქართველოს და „რუსთაველის“. აქვე უნდა აღინიშნოს 2 ახალი დაბა, სადაც ჩასახლდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა. გარკვეული მიზეზების გამო ეს ყველაფერი შეჩერდა და იმედია, მომავალი თაობა გააგრძელებს დაწყებულ საქმეს და უქმად არ დატოვებს მელიორაციაზე განუღებ დიდ კაპიტალურ დაბანდებებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წყალსაცავები განადგურებულია, ხოლო მილგაყვანილობა და ელექტრო სადგურები გაძარცვულია და ჯარათად ჩაბარებული.

რაიონში სახნავ-სათესი ფართობები, რომელიც მდებარეობს შირაქის, ტარიბანას, ზილიჩის, ვაკე-თელანწყლის, მწარე წყლის და ალაზნის ზონებში, უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად შეიცვალა ბუნებრივ-კლიმატური პირობები, თითქმის გაუდაბნოვდა, ზამთარი უთოვლოა - მცირე ნალექით, ხოლო ზაფხული მშრალი და გვალვიანია, გახშირებულია ქარები, განსაკუთრებით მძლავრობს ზამთარსა და გაზაფხულზე.

ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური პირობების გასაუმჯობესებლად ღონისძიე-

ბათა კომპლექსში მთავარია ქარის და წყლის მიერ ეროზიისგან ნიადაგის და ნათესების დაცვა ხელოვნურად, ანუ მოსავლიანობა უნდა გავზარდოთ ნიადაგის საიმედო დაცვის პირობებში. უნდა გამოიყოს ნიადაგების ზედაპირის ტენიანობის შენარჩუნება, ქარების სიჩქარის შეჩერება, შემცირება და მოსული ნალექების ზედაპირული დინების შეჩერება და ნიადაგში ჩაჟონვის უზრუნველყოფა.

იმისათვის რომ ეს პირობა დაკმაყოფილდეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მინდორსაცავი ზოლების გაშენებას. რაიონში 1970 წლამდე სახნავ-სათესი ფართობზე ქარსაცავი ზოლი არ არსებობდა. იშვიათად, ისიც გზების გასწვრივ რამდენიმე ხე-მცენარე არსებობდა. იმ პერიოდში მთავრობამ მიიღო დადგენილება და გარე კახეთის მეურნეობაში ჩატარდა მინათმონყობის დიდი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ჩატარება დაევალა საქართველოს მინათმონყობის საპროექტო ინსტიტუტს (დირექტორი ბალაშვილი) თითოეულ მეურნეობაში

მიზნით ნარგავების მოჭრა ან დაზიანება. იყო მკაცრი სანქციები, კონტროლს ახორციელებდნენ სატყეო მეურნეობის მეტყვევები და მეურნეობის სპეციალისტები. კარგად გახარებული და ექსპლუატაციაში გადაცემული ქარსაცავი ზოლები გადაეცა რაიონის კოლმემურნეობებს მოსავლელად, ყოველწლიურად მეურნეობები უვლიდნენ ზოლებს, თიბავდნენ ბალახს, იცავდნენ მოჭრისგან, ნარგავებიდან ზამთარში გამოჰქონდათ ხმელი ტოტები და ნარჩენები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარსაცავი ზოლებმა, მეურნეობაში დანერგულმა თესლობურვებმა და სხვა ტექნოლოგიურმა ღონისძიებებმა აამაღლეს მინათმოქმედების კულტურა. გაიზარდა მოსავლიანობა, მაგრამ სოციალური წყობის და მეურნეობის დაშლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მიწების პრივატიზაციის შედეგად მინდვრის სადგომებში, საბრიგადო სახლებისა და სხვა ობიექტებზე მიყვანეს პირუტყვი და საძოვრებად გამოიყენეს ქარსაცავი ზოლები. მწყემსები ოჯახებით ჩასახლდნენ მინდორსაცავი ზოლების გვერდზე და დაიწყეს საწვავად ხე-მცენარეების გაჩეხვა გათბობის მიზნით. ამას გარდა წესად იქნა შემოღებული თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ ნანვერალის დანვა იმ მიზნით, რომ მავნებლები და დაავადებები მოისპოს, ამ დროს, არ არის დაცული ხანძრის გაჩენის შემთხვევითი ნესები. გადანვის წინ, მინის ფართობი უნდა შემოიხსნას გუთნის 2-3 გავლით. როდესაც არც ერთი წესი არ არის დაცული, ბუნების ეს სიმდიდრე იწვება და ნადგურდება. თითქოს მუშაობენ სათანადო ორგანოები მინდვრის დასაცავად, მაგრამ სიტუაცია კვლავ არასახარბიელოა. იმისათვის, რომ ამჯერად მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა, საჭიროდ მიგვაჩნია, შემდეგი ღონისძიების გატარება:

1. ყველა გადარჩენილი ქარსაცავი ზოლი გამეჩხერებული თუ განადგურებული, უნდა მიემაროს საექსპლუატაციოდ ფერმერს, ან მინათმოსარგებლეს, ვის ნაკვეთთანაც მდებარეობს ნარგავები.

2. შემუშავდეს ღონისძიებები, რომ ზოგიერთი ნარგავი გამოირგოს, ან ახლად გაშენდეს, ამისათვის მინათმოსარგებლეს უნდა გაენიოს ფინანსური დახმარება.

3. სასტიკად უნდა აიკრძალოს სახნავ-სათესი ფართობების ან ქარსაცავ ზოლებში ფერმების არსებობა. დაწესდეს მკაცრი სანქციები.

4. რაიონებში ზონების მიხედვით უნდა გამოიყოს მობილური ჯგუფები, რომლებიც დაიცავენ ქარსაცავ ზოლებს და სხვა ობიექტებს.

5. სასტიკად აიკრძალოს მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთების დანვა-სრული წესების დაცვის გარეშე. დამრღვევებზე დაწესდეს მკაცრი ადმინისტრაციული და ფულადი ჯარიმები.

მიემართავ ჩვენს ძვირფას ახალგაზრდობას, მომავალ თაობას, ამ მონაცემების მოყვანა და ციფრობრივი მაჩვენებლები, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვინდა და ვაპირებთ ნარსულში და დღევანდელი ცხოვრების წესი დავინუნოთ ან შევცვალოთ, მაგრამ თუ გვინდა სოფლის მეურნეობაში რაიმე წარმატების მოპოვება, არ უნდა დავივიწყოთ ნარსულის წარმატებები და მიღწევები, რომლითაც ჩვენი თაობა ამყობდა. გვინდა ჩვენმა მომავალმა თაობებმა იცოდნენ ის მონაცემები და შედეგები, რისი რესურსიც ჰქონდა და აქვს სოფლის მეურნეობას.

ჩვენ ძველი თაობის სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული სპეციალისტები და თითოეული ადამიანი ვმომობდით და ვიბრძოდით, რომ თქვენ, ჩვენმა სასიქალულო ახალმა თაობებმა, კარგად გაართვათ თავი საქმეს, გაითვალისწინოთ ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებები და ყოველთვის მოხარული ვიქნებით, თუკი ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობა მომავალში წარმატებული იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

შალვა თითიაძე,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა კანდიდატი

ავღანეთიდან ქართული ქვედანაყოფების გამოსვლის პროცესი დაიწყო



საქართველოს თავდაცვის ძალების ავღანეთიდან გამოსვლის პროცესი დაიწყო. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დასავლეთ სარდლობის მისამართით ბრიგადის ნაპრატი ასპული პირველი ქვედანაყოფია, რომელიც ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან სამშობლოში დაბრუნდა.

ქართული კონტინგენტი ნატო-ს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში, მახარ-ი-მარიფში, ბაზა „მარმალზე“ ასრულებდა და მის მთავარ დავალებას სწრაფი რეაგირების ამოცანების შესრულება წარმოადგენდა.

ქართველი მშვიდობისმყოფელების საერთაშორისო მისიიდან დაბრუნება ვაზიანში, მეოთხე მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე საზეიმოდ აღინიშნა. პირად შემადგენლობას მისიის ღირსეულად და წარმატებით შესრულება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბუაჩიშვილმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ბიორბი მათიაშვილმა მიულოცეს. მათ მშვიდობისმყოფელებს გამორჩეული სამსახურისა და მნიშვნელოვანი კონტრიბუციისთვის მადლობა გადაუხადეს და მისიაში დაღუპული სამხედროების ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს.

სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა. ჰუმბერტ ქნირსმა ქართველი სამხედროების მაღალი პროფესიონალიზმი, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში სამხედრო მოკავშირეების მხარდაჭერა მათი ღირსეული სამსახური და მნიშვნელოვანი წვლილი ხაზგასმით აღნიშნა.

ლონისძიება მშვიდობისმყოფელების დაჯილდოებით გაგრძელდა. ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიაში ღირსეულად მონაწილეობისათვის, 11 სამხედრო მოსამსახურე მედლით, „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“ და აჯილდოვდა. 2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო, - აღნიშნავენ უწყებაში.

„სამოქალაქო განათლების კუთხით ახალი პროგრამა დაიწყება“ - კელი დებნანი

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დებნანის განცხადებით, საქართველოში სამოქალაქო განათლების კუთხით ახალი პროგრამა ამოქმედდება.

„ჩვენ გავაგრძელებთ ინვესტიციებს საბავსო განათლებაში. იმ 7 მილიონის მიღმა, რომელსაც ვახორციელებთ USAID-ის პროგრამის ფარგლებში, რომელიც გასულ წელს დაიწყო. დაიწყება ახალი პროგრამა სამოქალაქო განათლების კუთხით, რაც სამომავლოდ შექმნის რესურსს, რომ კადრები ამ სფეროში მზად იყვნენ“, - განაცხადა მან.

საქართველოსა და აშშ-ს შორის საგრანტო შეთანხმება გაფორმდა, რომლის თანახმად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოს გამოუყოფს 67 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობის გრანტს, 330 მილიონი აშშ დოლარამდე გაზრდის შესაძლებლობით. საგრანტო შეთანხმების „საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის“ ხელმოწერის ცერემონია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

განათლების სფეროს გარდა, საგრანტო თანხა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, უმუშევრობის დონის შემცირებას, სანარმოების განვითარებას და ენერჯეტიკის სფეროს განვითარებას მოხმარდება.

საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 1 064 ახალი შემთხვევა გამოვლინდა

Stopcov.ge-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, 21 მაისს, ბოლო 24 საათში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 25 564 კვლევა ტესტით, მათ შორის 10 888 კვლევა ანტიგენის ტესტით და 14 676 PCR ტესტით.

ჩატარებული ტესტირების შედეგად, ბოლო 24 საათში გამოვლინდა ვირუსით ინფიცირების 1064 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ქვეყანაში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენს 335 769-ს. რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს, 20 მაისის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 4.16%, ბოლო 14 დღის მანძილზე - 4.26%, ხოლო 7 დღის მანძილზე - 4.13%. ბოლო 24 საათში ვირუსისგან გამოჯანმრთელდა 1 135 პირი, ხოლო ჯამში გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა გაიზარდა 316 389-მდე. ბოლო 24 საათში კორონავირუსით გარდაცვალების 29 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. პანდემიის გავრცელებიდან დღემდე ვირუსს ჯამში 4 569 პირი ემსხვერპლა.

21 მაისს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 1 064 ახალი შემთხვევიდან: თბილისში გამოვლენილია 543 შემთხვევა, აჭარა - 125, იმერეთი - 99, ქვემო ქართლი - 62, შიდა ქართლი - 25, გურია - 7, სამეგრელო - ზემო სვანეთი - 104, კახეთი - 47, მცხეთა-მთიანეთი - 17, სამცხე-ჯავახეთი - 18, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 17. ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა არის 14 785, საიდანაც: 4 261 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის საავადმყოფოებში - 2 333, აჭარაში - 486, იმერეთში - 537. ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 893 პირი, მათ შორის, თბილისში - 430, აჭარაში - 102, იმერეთში - 158. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 219 პირი, მათგან თბილისში - 140, აჭარაში - 11, იმერეთში - 16. 705 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ-სასტუმროებში, მათ შორის 379 - თბილისში, 285- აჭარაში. 9 819 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე. საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულია 99 ადამიანი, მათ შორის, თბილისში - 65, ხოლო აჭარაში - 33. სულ 6 ოქტომბრიდან - 20 მაისის პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინე სივრცეებში გადაყვანილია - 24 732 პირი. ამ ეტაპისთვის თვითიზოლაციაში იმყოფება 25 885 ადამიანი, მათ შორის თბილისში - 17 822 პირი, აჭარაში - 1 584, იმერეთში - 1 610.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მერიტა მონაშვილის ინფორმაციით, „21 მაისის მონაცემებით დაფიქსირებულია 3, ხოლო, მთლიანად, 2021 წლის დასაწყისიდან დღემდე აღრიცხულია 265 შემთხვევა. კოვიდ ცენტრში მოთავსებულია 12 პაციენტი, აღრიცხვზე იმყოფება და იზოლაციაშია 107 პირი. სამუხაროდ, დაფიქსირდა გარდაცვალების 1 ახალი შემთხვევა“. ქალბატონი მარიეტა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აცრის-კენ მოუწოდებს. მისი განცხადებით, „21 მაისის 12 საათიდან დაიწყება სინოვაკის ვაქცინის რეგისტრაციის პროცესი. 24 მაისიდან კი დაიწყება თავად აცრის პროცესი. ვაქცინაციისთვის დარეგისტრირება შეგეძლება booking . moh. gov. ge.“

მსოფლიო ბანკის ახალი პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში

მსოფლიო ბანკის პროექტის „სოფლის მეურნეობის, მინისა და წყლის სექტორებში გასატარებელი ღონისძიებები აგროსისტემების მდგრადი განვითარებისთვის“ განხორციელების საკითხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბიორბი ხანიშვილმა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ონლაინ შეხვედრაზე განიხილა.

შეხვედრას მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორი სემსტიან მოლინეშუ, საჯარო და კერძო სექტორის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები მინის მართვის, მინის საკუთრების, გამსხვილების, კონსოლიდაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიმართულებებით. ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს ამ კუთხით, რაც მრავალწლიან შრომას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის, იუსტიციის სამინისტროსა და ჩვენი გუნდის ერთობლივი მუშაობით, სერიოზული საფუძველი ჩაეყარა მინის სისტემურ აღრიცხვასა და რეგისტრაციას, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. ამასთანავე, ის საკანონმდებლო დოკუმენტები, რომელთაც ქარსაფარ ზოლებთან, საძოვრებთან და გაუდაბნობასთან დაკავშირებით ვლტებულობთ, ვფიქრობ, არსებული გამოწვევების დაძლევაში ძალიან დაგვეხმარება“, - განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

სამუშაო შეხვედრა მსოფლიო ბანკის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის მიერ იყო ორგანიზებული.

მონატრება

ტარიელ დოლაშვილი



22 მაისს 67 წლის გახდებოდა და რა ბედნიერები ვიქნებოდით, ამ დღეს ყველა ერთად თუ შეხვდებოდით, მაგრამ არ ინება შენმა ბედისწერამ ასე. პირველი დაბადების დღეა უშენოდ. გასული წლის 23 სექტემბერს სამუდამოდ დახუჭე თვალი, იმქვეყნიურ საუფლოში გადაინაცვლე და დაგვიტოვე ტკივილი და შენთან გატარებული თანაცხოვრების ტკბილ-მწარე მოგონებები. ბოლო წლების მანძილზე ჯანმრთელობის პრობლემები სხვადასხვა კუთხით არაერთხელ შეგექმნა, მაგრამ ჩვენი მოცადებით და ბრძოლით ვძლევდით სიკვდილს. ამჯერად კი სიკვდილი მოგვერია. სამ დღეში ორჯერ გაგიმეორდა ინსულტი და ვედარ გაუძელი. ოთხ ათეულ წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთად. შენ მძლოლად მუშაობდი, მე - საავადმყოფოში. ვმრომობდით და ალალი შრომით ოჯახს ვუძღვებოდით. ორი შვილის-ვალერის და ვაჟას გაზრდას შევალეთ ჩვენი ცხოვრება. ვალერი დავაოჯახეთ, კარგი რძალი გამოდგა შორენა ოდიშერიძე, მშრომელი, ზრდილი.

შენც სულ თვალეებში შეჰყურებდი, სხვისი შვილია და იოლად ეწყინებო. გავიხარეთ პირველი შვილიშვილი-დავითი რომ დაიბადა. მას თამარი და სანდრო მოჰყვენენ. ეს ძალიან გახარებდა, მაგრამ ვაჟას დაუოჯახებლობის ჯავრი გაგყვა. შენს მოვლა-პატრონობაში თავისი თავისთვის ვედარ მოიცალა. ჯერ მხოლოდ რვა თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, მაგრამ ძალიან დაგვაკლდი, თითქოს საუკუნეა, რაც შენი სახლის კარი აღარ შემოგხსნია. ჩვენ კი სულ მოლოდინით მივჩერებივართ გზას. შენ აღარ დაბრუნდები, მაგრამ შენი სიცოცხლე შენს შთამომავლობაში გაგრძელდება და ჩვენს გულეებში სულ მუდამ იარსებებს შენი ხსოვნა და მონატრება. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

მეუღლე ნალი დოლაშვილი, ქ.დედოფლისწყარო

თანაკლასელები: მიშა თეთვაძე, გოდერძი გონაშვილი, გოდერძი ლეკაშვილი, ოთარ ხარაშვილი, ანზორ ლეკაშვილი, კარლო ყოჩიაშვილი, დარიკო თეთვაძე, ეთერ გონაშვილი, ნელი ფიროსმანაშვილი, ნანა ჭუჭულაშვილი, ლილი გოგიაშვილი, ვენერა ნასრაშვილი, ნაზი ლეკაშვილი ოჯახებით ღრმა მნუხარებით იუნყებიან

სულიკო ხუციშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ფარლიზის, შვილებს: გელა და თინიკო ხუციშვილების ოჯახებს.

დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ვუსამძირებთ ჩვენს თანამშრომელს თამარ ბატიაშვილს დის

ციური ბატიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

ცხოვრების გზაგასაყარზე

ძვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, სკოლაში „ბოლო ზარი“ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ჩატარდა.

სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაბამისი რეკომენდაციები გადაუგზავნა. „რეკომენდაციების თანახმად, შესაძლებელი იყო „ბოლო ზარის“ ღონისძიების ორგანიზება მხოლოდ მე-12 კლასის მოსწავლეებისა და სკოლის მასწავლებლების მონაწილეობით სკოლის ტერიტორიაზე, უცხო პირთა დასწრების გარეშე. სასურველი იყო, მოსწავლეებთან გამოსამშვიდობებელი ღონისძიების ღია სივრცეში გამართვა, სადაც ყველა პირს ევალებოდა პირბადის ტარება და საჭირო დისტანციის დაცვა.“

მეთორმეტე კლასელებისთვის ბოლო ზარი ერთგვარი გამყოფი ხაზივითაა – ამ დღეს ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ეტაპს ამთავრებ და მეორეს იწყებ. სკოლაში სწავლის ბოლო დღეს თეთრი პერანგების ჩაცმა და მერე ფერადი წარწერებით აჭრელების ტრადიცია საკმაოდ დიდ დროს ითვლის. გასულ წელს, პანდემიის გამო, ბოლო ზარის ჩატარების ტრადიცია დაიღწა. თუმცა, წელს, რეგულაციების გათვალისწინებით, მაინც მოხდა ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა. ძნელია, ახალი ცხოვრებისკენ ისე გადადგა ნაბიჯი, რომ ძველი არ დაასრულო და სწორედ ამ ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის სიმბოლოა „ბოლო ზარი“, რომელსაც, ჩემი აზრით, კარგთან ერთად ბევრი ზედმეტი შტრიხი აქვს შემორჩენილი, მათ შორის, მანქანებით სეირნობა, რომელსაც არაერთი სავალალო შედეგი მოჰყოლია წლების მანძილზე, მაგრამ, მაინც დღემდე ძალაშია.

სკოლის დამთავრება ის დღეა, რომელსაც წლები ელოდები და გეგმავ. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო მოსწავლეებმა ყველა ჩანაფიქრი ვერ შეისრულეს, ამ დღეს „ბოლო ზარის“ სამახსოვრო ელფერი მაინც მიანიჭეს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების 191 კურსდამთავრებულს ულოცავს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და იმედს გამოთქვამს, რომ პატარა წინააღმდეგობები ვერ დაბრკოლებთ მათ წარმატებით გადადგან დიდი ნაბიჯები ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ელზა ხარაშვილი



სკოლაგადასვლის საჯარო სკოლა



ჯემო მარხაიანის საჯარო სკოლა



პირველი საჯარო სკოლა



სკოლაგადასვლის საჯარო სკოლა

ულოცავენ!

მარინა ღვინიაშვილს!

პროფესიონალ, ღვაწლმოსილ ექიმ-ინფექციონისტს, საუკეთესო მნიშვნობარსა და ხელოვნანს, ულოცავთ დაბადების დღეს - 21 მაისს და საიუბილეო 70 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ სიგელით დაჯილდოვებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიშვნობართა ასოციაცია

საუკეთესო სურვილებითა და ღრმა პატივისცემით,

ჯანით მთელი და ხალი.
იკაშკაშე და ინათე,
აზრქვეი თბილი სსიყვები,
მათთვის ვინც ვარს გახვევია,
ასლობლები და შვილები!

ღრმა პატივისცემით,
მთვარისა ზინკაშვილი

მარინა ღვინიაშვილს!
ნინო ფიროსმანაშვილს!

შპს „ლაპარი“-ის კოლექტივი დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. ორივე ღირსეულ ქალბატონს გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს თქვენს პირად ცხოვრებაში და სამსახურებრივ საქმიანობაში. სულ გვეიმედებოდეთ ფეხზე მყარად მდგომნი.

შპს „ლაპარი“-ის კოლექტივი

იყიდება!

ფუტკრის სკები ლაფეტით და ყველა საჭირო ინვენტარით.

ტელ: 595 14 51 10

იყიდება მატყლის საბნები, უხმარი, თეთრ ბიაზში შეკერილი.

ტელეფონი: 571 12 60 81

ამინდი		დედოფლისწყარო														
ორშაბათი 24.05	სამშაბათი 25.05	ოთხშაბათი 26.05	ხუთშაბათი 27.05	პარასკევი 28.05	შაბათი 29.05	კვირა 30.05	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
30°	16°	30°	16°	30°	16°	31°	17°	31°	17°	31°	17°	30°	16°			

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ზვანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი); გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---